ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4727670

ნომერი: AR1706722

თარიღი : 03.10.2019

გაცემის თარიღი : 28.10.2019

გაცნობის თარიღი : 31.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- სამტრედია

ორგანიზაცია:
- შპს არქი დიღომი კოდი: 405225037

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 03 ოქტომბერს NAR1706722 განცხადებით მომართა თენგიზ წულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი II, ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ნაკვეთი N6/72), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.06.006.278), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (სექტორი I / C და D ბლოკები) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 27 აგვისტოს N4646739 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 27 აგვისტოდან 2022 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 5123.0 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 5409.8 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 35523.9 კვ.მის ნაცვლად 35810.7 კვ.მ . შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული შეცდომის გასწორება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N892018401545 მომზადების თარიღი: 11/05/2018 18:51:31) მიხედვით, N01.10.06.006.278 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „არქი დიღომი“ (405225037). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B17087850, მომზადების თარიღი: 29/08/2017 11:00:08), შპს შპს „არქი დიღომი“-ს (405225037) დირექტორს წარმოადგენს თენგიზ წულაია (პ/ნ: 37001018394).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 5409.8 კვ.მ. საერთო ფართობი: 35810.7 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 აგვისტოს №4631086 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.